

- **ფსიქო-სოციალური მომსახურება**

რესოცილოზაცია-რეაბილიტაციის პროცესში ყოფილ მსჯავრდებულთან მუშაობას იწყებს ცენტრის სოციალური მუშაკი, რომელიც მისი საქმის მენეჯერის როლს ითავსებს. მუშაობა მიმდინარეობს ინდივიდუალურად. ბენეფიციარის საჭიროებების გამოვლენის შემდეგ, სოციალური მუშაკი მასთან ერთად ადგენს სამოქმედო გეგმას, რომელიც მიმართულია გამოვლენილი საჭიროებების დაკმაყოფილებისკენ. სამოქმედო გეგმის განხორციელების პერიოდში, სოციალური მუშაკი ბენეფიციარის სოციალური თანხლებია.

ბენეფიციარის პირადი თუ ოჯახური საჭიროებიდან გამომდინარე საქმის მართვაში შესაძლებელია ჩაერთოს ფსიქოლოგი, რომელიც ბენეფიციარს უწევს ფიქოლოგიურ კონსულტაციას, საჭიროების შემთხვევაში ამისამართებს შესაბამის დაწესებულებაში და უწევს თანხლებას.

- **ჯანმრთელობის პრობლემების მოგვარება**

ყოფილ მსჯავრდებულთა ჯანმრთელობაზე ზრუნვა სახელმწიფო პროგრამებით ხდება. სოციალური მუშაკი ეხმარება ყოფილ მსჯავრდებულს როგორც საყოველთაო (ან სხვა ტიპის) დაზღვევით ასევე რეფერალური მომსახურებით სხვადასხვა სამედიცინო საჭიროების დაკმაყოფილებაში. გარდა ამისა ძლიერია რეფერირების ქსელი სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებში, რომლებიც ასევე უზრუნველყოფენ სხვადასხვა სამედიცინო ჩარევებს.

- **პროფესიული უნარების შექმნა და დასაქმების ხელშეწყობა**

დასაქმების ხელშეწყობის მიმართულების ფარგლებში, ყოფილი მსჯავრდებულები პროფესიულ გადამზადებას სხვადასხვა სახელმწიფო პროფესიულ კოლეჯებში გადიან. კურსების წარმატებით გავლის შემთხვევაში მათ გადაეცემათ სერტიფიკატი. დანაშაულის პრევენციისა და ინოვაციური პროგრამების ცენტრის ბაზაზე, არსებობს სპეციალურად ყოფილი მსჯავრდებულებისა და მათი შვილებისათვის შექმნილი ინგლისური ენის კურსი.

- **არაფორმალური განათლება/ ტრეინინგები**

ყოფილი მსჯავრდებულების სოციალიზაციის, განათლებისა და პიროვნული გაძლიერების მიზნით აქტიურად ხდება მათი ჩართვა სხვადასხვა თემატიკის ტრეინინგ კურსში. აღნიშნული ტრეინინგ კურსები როგორც შიდა, ასევე სხვადასხვა საგრანტო პროექტებისა და სხვა პარტნიორ ორგანიზაციების რესურსის გამოყენებით მიმდინარეობს.

- **ყოფილი მსჯავრდებულის ოჯახის წევრთან მუშაობა**

ყოფილ მსჯავრდებულთან მუშაობისას, სოციალური მუშაკი აქტიურად მუშაობს მის გარემოსთან, განსაკუთრებით ოჯახის წევრებთან. მასთან მუშაობის პერიოდში ახორციელებს ვიზიტს ოჯახში, ესაუბრება ოჯახის წევრებს, ადგენს ოჯახის საჭიროებებს და არსებული სერვისებზე დაყრდნობით ახდენს მათ დახმარებას.

- **იურიდიული დახმარება**

ყოფილ მსჯავრდებულთა დახმარება სამართლებრივ საკითხებში პარტნიორი არასამთავრობო და სამთავრობო ინსტიტუტებში გადამისამართებით ხდება. ბენეფიციარების საჭიროებიდან გამომდინარე, მათ ეწევათ სხვადასხვა სახის სამართლებრივი დახმარება.